



Svetlana Sapharidze

სვეტლანა საფარიძე, 68 წლის, ქობულეთი

სვეტლანა საფარიძე დაიბადა 1946 წელს ქ. ფოთში. 1965 წელს დაამთავრა ქობულეთის საშუალო სკოლა. ორი წლის იყო, როცა სტალინური რეჟიმის დროს მთელი ოჯახი ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც რვა მძიმე წელი გაატარა.

სვეტლანას დედა, 95 წლის ელენე კაკულიდი იგონებს: „უცებ კარზე ძლიერი კაკუნის ხმა მოისმა. სახლში ჩეკისტები შემოვიდნენ. მათ ახსნა-განმარტების გარეშე ჩაგვალაგებინეს მცირე ბარგი და დაგვაპატიმრეს მე და ჩემი 2 წლის ქალიშვილი, დედ-მამა და ძმა. რამდენიმე დღეში მიგვიყვანეს რკინიგზის სადგურში, ჩაგვყარეს ნაცრისფერ ბინძურ ვაგონებში, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. გზა ყაზახეთისკენ ერთი თვე გაგრძელდა. აუტანელი პირობების გამო ბევრი გზაში გარდაიცვალა. ყაზახეთში გაგვანაწილეს სტეპში განლაგებულ ხის ბარაკებში. შიმშილი, ინფექციური დაავადებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყველაზე დიდი პრობლემა კი - სასმელი წყლის არარსებობა იყო. სამშობლოში რეაბილიტაციის შემდეგ დავბრუნდით. ჩვენს სახლში უკვე სხვა ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ბედნიერები ვიყავით და ცხოვრების დაწყება თავიდან მოგვიხდა.“

სვეტლანა საფარიძე კადრების განყოფილების ინსპექტორად მუშაობდა ჯერ ნავთობბაზაში, შემდეგ კურორტვაჭრობაში. 1969 წელს დაოჯახდა, ჰყავს 3 შვილი და 8 შვილიშვილი.

ქალბატონი სვეტლანა იგონებს, რომ სანამ ბავშვები პატარები იყვნენ, დრო არაფრისთვის რჩებოდა. სამსახურში ხშირად აწყობდნენ ექსკურსიებს, რითაც სამწუხაროდ, ვერც ერთხელ ვერ ისარგებლა. ის თვლის, რომ ქალის როლი საზოგადოებაში დღესაც მნიშვნელოვანია და დროთა განმავლობაში მატულობს. „ბოლო დროს ხშირად ვხვდები ნიჭიერ, განათლებულ და მიზანმიმართულ ქალს. მიუხედავად ამისა, მამაკაცები ხშირად ირონიით უყურებენ ქალის საზოგადოებრივ აქტივობას. მიაჩნიათ, რომ მათი საქმეა სამხარეულო და ბავშვების მოვლა“.

„მოხუცები მწვავედ განიცდიან საზოგადოებისაგან გათიშულობას, ახალგაზრდობისაგან უყურადღებობას, მათ აკლიათ სითბო და ყურადღება. მათი აზრი ხშირად არავის აინტერესებს, არავინ ითხოვს მათი მდიდარი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილების გაზიარებას. რომ არა ეს პრობლემები, ხანდაზმულთა ცხოვრება მეტად საინტერესო იქნებოდა.“- ამბობს ქალბატონი სვეტლანა.

„პროექტმა „ხანდაზმულთა რესურს ცენტრი“ გააღამაზა ჩემი ცხოვრება. გავიცანი არაერთი საინტერესო ქალბატონი. პროექტის ფარგლებში ხშირად ტარდება შეხვედრები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები. სასიხარულო და სასიამოვნოა, რომ არიან ახალგაზრდები, რომლებიც ხანდაზმული ადამიანებისადმი გაიღებენ სითბოს და ზრუნვას“.

ახალგაზრდობას ვუსურვებდი, რომ წინსვლისას ყოველთვის მოიხედონ უკან. რომ პატივი სცენ მათზე ათწლეულებით უფროს ხალხს, რომლებმაც ააშენეს ის ქვეყანა, სადაც ისინი ახლა ცხოვრობენ. და რაც მთავარია, სითბო და სიყვარული არ მოაკლონ თავის მშობლებს და ბებია-ბაბუებს.

Svetlana (Sveta) Sapharidze, 68, Kobuleti

Svetlana Safaridze was born in 1946 in Poti. In 1965 she graduated from high school in Kobuleti. She was two-years-old when the Stalinist regime exiled the entire family to Kazakhstan, where she spent eight hard years.

Svetlana's mother, 95-year-old Helen Kakulidi, recalls: "Suddenly we heard knocking on the door. The KGB entered our home and, without explanation, they arrested me and my two-year-old daughter, my parents and brother. In a few days, they took us to the railway station, threw us in dirty grey vans, irrespective of gender and age, and we were exiled to Kazakhstan. The journey by road took a month. Many died on the way because of unbearable conditions. Finally, we arrived in Kazakhstan and were accommodated in wooden barracks located in steppes. Hunger and infectious diseases were common there and the biggest problem was the lack of drinking water. After rehabilitation, we returned to our homeland. Other families had lived in our house but we were still happy and started life all over again."

Svetlana Safaridze has worked in human resources in the oil industry and later in trade companies. She married in 1969 and has three children and eight grandchildren. Mrs. Svetlana recalls that she didn't have time for anything when the children were little; she didn't even have time to go on trips with her co-workers and she has always been sorry about that. She believes that a woman's role in society is still important and is increasing over time. "I often meet talented, intelligent and purposeful women. Still, men often scoff at women's public activities. They think that their job is cooking and childcare. The elderly suffer from being severely cut off from society and not being supported by young people, they lack the warmth and attention. No one cares about our opinions, no one asks us to share our rich life and professional experience. If there weren't these problems, life for the elderly would be very interesting," said Ms. Svetlana.

"The Elderly Resource Centre has brightened my life. I have met many interesting women. Meetings, concerts and other events are often held as part of the project. We are delighted and pleased that there are young people who can give warmth and care to older people."

I wish that young people will take note of the past and respect all elderly people, who built this country where they live now. Most importantly, I wish that they will give warmth and love to their parents and grandparents.

